პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 151 (19593) ◆ სამშაბათი, 1 ივლისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის X ყრილობა

ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

სურათზე: ტრიბუნაზეა მ. ს. გორბაჩოვი.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

პატივცემულო ამხანაგო თავმჯდომარევ!

ძვირფასო ამხანაგო ყრილობის დელეგატებო და სტუმრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გულითადად მივესალმები პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის X ყრილობას.

თქვენს წინაშე გამოსვლისას მინდა უწინარეს ყოვლისა გამოვხატო გულწრფელი პატივისცემა და მეგობრული გრძნობები, რომლითაც საბჭოთა კომუნისტები ეკიდებიან თავიანთ პოლონელ თანამოაზრეებსა და თანამოსაგრეებს.

ამ ტრიბუნიდან მხურვალედ მივესალმებით მთელ მოძმე პოლონელ ხალხს. საბჭოთა კავშირი პოლონეთის მეგობრობას, ჩვენი ძმობა პოლონელი და საბჭოთა ადამიანების ბევრი თაობის ერთობლივი ბრძოლითა და შრომით შედეგიანებული ჩვენი ხალხების დიდი მონაპოვარია.

დიდად გაგვახარა ჩვენი პარტიისა და ხალხისადმი ამხანაგობის, ნდობის, სიმპათიის გამოხატვამ, საბჭოთა კავშირის შესახებ კეთილი სტატიებმა, ამ დარბაზში რომ გაისმის. გულთბილ მადლობას გიხდით!

ამხანაგებო! პოლონეთის მეგობრებსაც და მოშურნეებსაც ესმით: თქვენი ყრილობა ქვეყნის ისტორიის პასუხსაგებ ეტაპზე მიმდინარეობს. იგი აჯამებს მწვავე იდეურ-პოლიტიკური კონფრონტაციის, ვითარების მოწესრიგებისათვის მძიმე, უაღრესად დაძაბული ბრძოლის პერიოდის შედეგებს, სახავს წინსვლის პერსპექტივას.

ყოველთვის და ყველასათვის გასაგები როდი იყო მიმდინარე ამბების კლასობრივი შინაარსი. მაგრამ ეს არ ცვლის მათ არსს. საბოლოო ანგარიშით, ეს იყო ბრძოლა პოლონეთში თვით სოციალიზმის არსებობისათვის და სოციალისტურმა პოლონეთმა გაძლო, დაიცვა რევოლუციური მონაპოვრები — ეი მთავარი შედეგი, რომლითაც მოხვედით თქვენს ყრილობაზე და რომლის მოლოდინს უფლება გვაქვს დღეს.

ისტორია, რა თქმა უნდა, საბოლოოდ დაადასტურებს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობას, ათასობით პოლონელ კომუნისტს, ქვეყნის ყველა პატრიოტს — პარტიულსაც და უპარტიოსაც იმისათვის, რომ მეგობრებისა და მოკავშირეების სოლიდარობაზე დაყრდნობით საკუთარი ძალებით გამოიყვანეს ქვეყანა დრამატული სიტუაციიდან, მოიგერიეს სოციალიზმის მტრების შეიმტვრევა.

ვფიქრობ, უპრიანი იქნება ვთქვა, რომ სოციალისტური პოლონეთი ბევრს უნდა უმადლოდეს თავის გამოჩენილ ხელმძღვანელს ამხანაგ ვოიციხ იარუზელსკის, მის ენერგიასა და პოლიტიკურ გამჭრიახობას, ფართო მიდგომასა და უნარს — პოლობდეს ძალზე რთული პრობლემების გადაჭრის გზებს, მტკიცედ იცავდეს საკუთარი ხალხის ინტერესებს, სოციალიზმის საქმეს. და ამას, ამხანაგებო, თავაზიანობის გამო კი არა, რწმენით ვამბობთ.

ჩვენ ყველამ დიდი ყურადღებით მოვისმინეთ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება, რომელიც გუშინ გაკეთა ამხანაგმა ვ. იარუზელსკიმ, ბევრისანთ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ისტორიაში პირველი პარტიის პროგრამის პროექტი. ამ დოკუმენტებში შეფასებულია გაწვლილი გზა, ღრმად არის გაანალიზებული პოლონეთის თანამედროვე მდგომარეობა, ჩამოყალიბებულია სოციალისტური მშენებლობის მორიგი ეტაპის ამოცანები.

საბჭოთა კომუნისტები გაგებით და მხარდაჭერით ეკიდებიან თქვენს სამრმისო ეგებებს, ძმურად გისურვებენ ყოველივე დასახულის შესრულებას!

თქვენი ყრილობა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია ავანგარდული ძალაა, რომელსაც შეუძლია გაერთიანოს პოლონეთის საზოგადოება, გაუძღვეს ქვეყანას ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროგრამის გზით.

ამხანაგურად დაინტერესებული ვართ თქვენი ჩანაფიქრებისა და წამოწყებების წარმატებით, იმით, რომ პოლონეთი იყოს ძლიერი დამოუკიდებელი სოციალისტური სახელმწიფო, ჩვენი თანამეგობრობის აქტიური წევრი, მისი მტკიცე რგოლი. ეს შეესაბამება პოლონელი ხალხის ძირეულ ინტერესებს და ჩვენს საერთო საქმეს.

პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის—ევროპის ორი უდიდესი სოციალისტური სახელმწიფოს მჭიდრო თანამშრომლობა და კავშირი ჩვენი ქვეყნების წარმატებული განვითარების, ევროპაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების უცილობელი პირობაა.

სწორედ ამიტომ მთელ რომისშემდგომ წლებში, და შორის მწვავე კრიზისის პერიოდში, როცა იმპერიალისტურმა წრეებმა პოლონეთს თავს დაატეხეს სიცრუე და ეკონომიკური „სანქციები“, საბჭოთა ადამიანები მხარში გედგნენ, მხარს უჭერდნენ თქვენს ქვეყანას, ეხმარებოდნენ მას, რითაც შეეძლოთ.

მინდა ყრილობას, მთელ პოლონელ ხალხს აღვუთქვა, რომ ავლილაც თქვენი მეგობრები ვიქნებით ჭირშიც და ლხინშიც!

ამხანაგებო! გასაგები მიზეზების გამო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის X ყრილობა ყველა კომუნისტის, მსოფლიოს ფართო პოლიტიკური წრეების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. 70-ანი წლების დამლევიდა და 80-იანი წლების დამდეგის კრიზისმა, თქვენი საზოგადოება რომ მოიცვა, გამოხატა მისი წინააღმდეგობანი. მაგრამ მან გამოხატა აგრეთვე ორი სისტემის თანამედროვე ბრძოლის მთელი სირთულე, გამწვავებული ფორმით გამოავლინა ის პრობლემები, რომლებსაც სოციალიზმი აწყდება თავისი განვითარების ძალზე რთულ, გარდამტეხ ეტაპზე. აი, რატომ არის საჭირო, და არა მარტო პოლონელი კომუნისტებისათვის, დასკვნების გამოტანა პოლონეთის კრიზისიდან.

პირველი მათგანი — და შეიძლება ყველაზე არსებითი — ჩვენი აზრით, ის გახლავთ, რომ მთელი სირთულისა და არაერთგვაროვნების მიუხედავად ამ მოვლენებმა ცხადად გვიჩვენა: სოციალიზმმა ღრმად გაიდგა ფესვები, ჩვენი ქვეყნების მშრომელებს უმისოდ არსებობა ვერ წარმოუდგენიათ. ეს კი ნიშნავს, რომ სოციალისტური მონაპოვრები შეუქცევადია. როგორც ზუსტად თქვა ეს ამხ. იარუზელსკის მოხსენებაში, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები შეუერთდა „ეროვნულ სისხლის მიმოქცევას“, ხოლო სოციალისტური ღირებულებანი და ნორმები საზოგადოებრივი შეგნების განუყოფელი შემადგენელი ნაწილები გახდა.

მთლიანად დადასტურდა აგრეთვე, რომ სოციალიზმი ამჟამად არის საერთაშორისო რეალობა, იმ სახელმწიფოთა ერაში, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, თავდაცვითი ინტერესებით. ხელი აღმართო სოციალისტურ წყობილებაზე, შეეცადო ძირი გამოუთხარო მას გარედან, გამოგლიჯო ესა თუ ის ქვეყანა სოციალისტურ თანამეგობრობას, ნიშნავს ხელყო არა მარტო ხალხის ნება, არამედ მთელი ომისშემდგომი წყობა, საბოლოო ანგარიშით კი მშვიდობა.

მეორე მნიშვნელოვანი დასკვნა ეხება, შეიძლება ითქვას, სოციალისტური საზოგადოების ცოცხალ ნერვს — მუშათა კლასის, მისი პარტიის ადგილსა და როლს, მათი მტკიცე ორგანული კავშირის მნიშვნელობას.

ამ საკითხის თეორიის ანაბანა ცნობილია. ისტორიას მრავალგზის დაუმტკიცებია, რომ მუშათა კლასს შესწევს უნარი იყოს სოციალისტური მშენებლობის წამომწყები, სულის ჩამდგმელი, მთავარი ძალა, და მხოლოდ მის პარტიას შეუძლია დარაზმოს და წარმართოს ხალხთა მასების ენერგია ახალი საზოგადოების შესაქმნელად.

თქვენი ქვეყნის მუშათა კლასს, თქვენს პარტიას ყველა საფუძველი აქვთ იამაყონ ხალხსა ხელისუფლების მიღწევებით. შედარებით მცირე დროში—ომისშემდგომ ოთხ ათწლეულში — განხორციელდა, ღრმა სოციალური გარდაქმნები, მიღწეულია ის, რასაც საუკუნეების მანძილზე ესწრაფვოდნენ პოლონელი პატრიოტები: ქვეყნის გარანტირებული დამოუკიდებლობა, მყარი, სამართლიანი საზღვრები. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით მუშებმა, გლეხებმა, სახალხო ინტელიგენციამ ააღორძინეს პოლონეთი ფერფლიდან, შექმნეს თანამედროვე ინდუსტრიული ბაზა, აღადგინეს ისტორიული ძეგლები, შეინარჩუნეს და ახალი ღირებულებებით გაამდიდრეს ეროვნული კულტურა. ამ აღმშენებლობითს მუშაობაში თავიანთი კონსტრუქციული წვლილი შეაქვთ მოკავშირე პარტიებს.

პოლონეთის კრიზისი, როგორც აქ, ყრილობაზე ითქვა, არ [illegible] ბოლოს [illegible] მუშის პროტესტი. ეს იყო უწინარეს ყოვლისა პრაქტიკაში სოციალიზმის იმ დამახინჯებებთან უთანხმოება, რომლებსაც მტკივნეულად აღიქვამდა მუშათა კლასი. სოციალისტური პოლონეთის მოწინააღმდეგეებმა ქვეყანის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ შეძლეს გამოეყენებინათ ასეთი უთანხმოება თავიანთი მიზნებისათვის. ცნობილია, თუ რისი მიღწევა უნდოდათ დასავლეთში ომთ, ვინც პირფერულად უწოდებს თავს პოლონელი ხალხის მეგობარს. მათ სულაც არ აწუხებთ პოლონელი ერის ბედი. მათი განზრახვაა დაარღვიონ სოციალიზმი, მოსპონ სოციალისტური მონაპოვრები. მათთვის, მართლაც, მით უკეთესია, რაც უფრო უარესი მდგომარეობა იქნება პოლონეთში.

ესეც გაკვეთილია, რომელიც შეგვახსენებს, რომ სოციალიზმი ისტორიულად ახალი, ძნელი, ომაუცილებლობასთან დაკავშირებული საქმეა, რომ დავძლიოთ ანტისოციალისტური ძალების წინააღმდეგობა, წინააღეუდგეთ იმპერიალიზმის ეკონომიკურ, პოლიტიკურ-პროპაგანდისტულ და სამხედრო ზემოქმედებას.

და ბოლოს, განლილი პერიოდის გამოცდილებამ კვლავ მკვეთრად გამოავლინა, თუ რა საშიშროებას შეიცავს შეცდომები და იმ პრინციპებისაგან სუბიექტივისტური გადახრები, რომლებიც საფუძვლად უდევს სოციალიზმის პოლიტიკურ სისტემას, პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ნორმების დარღვევები, ხარვეზები სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში.

(დასასრული მე-2 გვ.).

დაჩქარება ხუთწლედის დევიზია

თავი გამოიჩინეს ელექტროენერგიის დაზოგვაში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ შეაჯამეს ელექტროენერგიის დაზოგვისათვის მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის საწარმოო გაერთიანებების (კომბინატების), საწარმოების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1986 წლის პირველი კვარტალის შედეგები. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ელექტროენერგიის დაზოგვისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის მიზნით გაწეული ნაშრომის, ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების, ელექტროშუბმარების დადგენილი რეჟიმების დაცვის, ტექნოლოგიის სრულყოფისა და ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად რესპუბლიკის ბევრმა საწარმოო გაერთიანებამ (კომბინატმა) და საწარმომ დაზოგა 26,1 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, რაც ნორმირებული ხარჯვის 1,1 პროცენტს შეადგენს. ამავე დროს ელექტროენერგიის დაზოგვისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობს მხოლოდ 265 სამრეწველო საწარმო და გაერთიანება, მაგრამ შეჯიბრების პირველი კვარტალის შედეგების შესაბამ მასალები მხოლოდ 170 საწარმომ წარმოადგინა, ხოლო სოციალისტური შეჯიბრების პირობები კი მხოლოდ 15-მა შეასრულა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნეს შემდეგი კოლექტივები:

— თბილისის სატელევიზიო ქარხანა „ეკრანისა“ (დირექტორი ამხ. ჯაიანი, მთავარი ენერგეტიკოსი ამხ. ბორჩხაძე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კერვალიშვილი), რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. მას მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია;

— რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხნისა (დირექტორი ამხ. დოლიძე, მთავარი ენერგეტიკოსი ამხ. ჟორდანია, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ბაკურაძე) და ფოთის „ელექტროაპარატის“ ქარხნისა (დირექტორი ამხ. მამალაძე, მთავარი ენერგეტიკოსი ამხ. ბუკია, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ჯიჭიძე). ამ კოლექტივებს მეორე ადგილი და მეორე ფულადი პრემია მიენიჭათ.

მესამე ადგილი და მესამე ფულადი პრემია მიენიჭათ ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელი ქარხნის (დირექტორი ამხ. მაღალაშვილი, მთავარი ენერგეტიკოსი ამხ. გოგოლაშვილი, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ღვამბერია) და თბილისის კამვოლსართავი ფაბრიკის (დირექტორი ამხ. ქოიავა, მთავარი მექანიკოსი ამხ. კვაჭანტირაძე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ნახუცრიშვილი) კოლექტივებს.

აღინიშნა, რომ ელექტროენერგიის დაზოგვისათვის კარგად იმუშავეს ქუთაისის მინის ტარის ქარხნის, საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეულის“, რუსთავის ქარხანა „სამონტაჟსპეცრემონტის“, თბილისის ავეჯის საწარმოო გაერთიანება „განთიადის“ კოლექტივებმა.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობის, საქართველოს სსრ საბინაოკომუნალური მეურნეობის სამინისტროს, აგრეთვე რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს“, ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“, თბილისის ქარხანა „საქსოფლმანქანის“, საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის“, საწარმოო გაერთიანება „საკვებმანქანის“ ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებლო-შეკეთებითი ქარხნის, საწარმოო გაერთიანება „შეიათურმანგანუმის“, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის, მახარაძის სალტესარემონტო ქარხნის, ქუთაისის რეზინ-ტექნიკური ნაწარმის ქარხნის, სოხუმის თევზის კომბინატის ხელმძღვანელების ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საკმარის მუშაობას არ ეწევიან ელექტროენერგიის დაზოგვისათვის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის მიზნით.

(საქინფორმი).

მოსკოვი, 28 ივნისი (საქინფორმის სპეც. კორ. ჯ. მურადელი). ფოთის ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების არსებობის მანძილზე მიღებული ფინანსური რესურსების მოცულობამ მილიონნახევარ მანეთს გადააჭარბა. საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც კოორდინაციას უწევს ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვას, ეს სახსრები მოხმარდება ახალი საწარმოების, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების, დასვენების ზონების მშენებლობას, ტერიტორიის კეთილმოწყობას. ისინი გამოიყენეს აგრეთვე თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობის შესაძენად, სპეციალიერი-კვლევითი და საპროექტო სამუშაოების დასაფინანსებლად, შრომითი კოლექტივების მატერიალური წახალისებისათვის.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა „სტანდარტების“ პავილიონის შუქ-ტაბლოზე აღბეჭდილი ამ თავისებური ანოტაციით იხსნება ექსპოზიცია, რომელიც ფოთის ექსპერიმენტს ეძღვნება. ეს არის ერთ-ერთი განყოფილება აქ ორგანიზებული თემატური გამოფენისა: „პროდუქციის სტანდარტიზაცია და ხარისხის მართვა ქვეყნის რეგიონებში“. თემატური გამოფენა მნახველს აცნობს იმ ტერიტორიული დარგობრივი სამართველოების მუშაობის გამოცდილებას, რომლებმაც ადგილებზე რეალური წანამძღვრები შეუქმნეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

ფოთის ექსპერიმენტის მიზანია სასაზო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომის მაორგანიზებელი და წარმმართველი როლის გაძლიერება დაქვემდებარებული ტერიტორიის კომპლექსურ განვითარებაში, ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების სტრუქტურისა და მისი ფუნქციების შინაარსის განსაზღვრა, — უამბობს ექსპოზიციის სტუმრებს ფოთის ტერიტორიულ-დარგთშორისი გაერთიანების უფროსი ვიქტორ ტიხოვი, რომელსაც ამჯერად გიდის როლი უკისრია. — გაერთიანების შექმნამ შესაძლებლობა მოგვცა უფრო ღრმად გაგვანალიზებინა ქალაქის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები, განგვემტკიცებინა მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძვლიანობა. თანაც საგრძნობლად გაღრმავდა ეკონომიკური სამსახურის თანამოქმედება ყველა საწარმოსთან, სამინისტროსა და უწყებასთან. და ამის შედეგად ქალაქმა ვადამდე და ყველა საგეგმო-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით შეასრულა მეთერთმეტე ხუთწლედის დავალება.

გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი ფოთის საწარმოების დღევანდელი პროდუქციის მრავალფეროვანი ნომენკლატურა, რომელიც კარგად არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. დამთვალიერებელთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, მაგალითად, ახალი წყალქვეშა-ფოთიანი თბომავლის მოდელმა, რომლის ათვისება მთავრდება ამ დღეებში ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელ ქარხანაში, აქვეა სხვადასხვაგვარი თევზსარეწი გემების მოდელები, კოკუტა ამწეებისათვის საჭირო ანაბარტარა, რომელსაც ქარხანა „ფოთიელექტროაპარატი“ უშვებს, მსუბუქი, კვებისა და თევზის მრეწველობის საწარმოთა ნაწარმი.

— ჩვენ ძალზე საგულისხმოდ მიგვაჩნია წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად ფოთის საქალაქო აღმასკომის მუშაობის გამოცდილება, — ამბობს პარტიის ტულის საქალაქო კომიტეტის სამრეწველო განყოფილების გამგე ბორის ნენაშკინი. თავის მხრივ, ფოთელებიც ინტერესით ეცნობიან ჩვენი რეგიონალური პროგრამის „ხარისხის“ შემუშავების შედეგებს. დარწმუნებული ვართ მოწონივე გამოცდილების ასეთი გაზიარება დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების შეზავებაზე დამყარებული მართვის ფორმების შემდგომი სრულყოფის კარგი სკოლაა. ხოლო იმას, რომ ეს სწორ გზაა, თვალნათლივ და დამაჯერებლად ცხადყოფს ეს გამოფენა.

გამოფენის გახსნას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ა. ჩხეიძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ნ. ა. მეძმარიაშვილი.

ფოთის მაქსიმალისტი

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე

მნგურპესი კვლავ მწყობრშია

კვლავ დაიწყო დენის გამომუშავება ენგურის ჰიდროელექტროსადგურმა. აქ ვადამდე დასრულდა თხუთმეტკილომეტრიანი მიწისქვეშა წყალსატარის „მკურნალობის“ სამუშაოები, რომლითაც წიალში ღრმად ჩაწყობილ ტურბინებს წყაში დაახლოებით 500 კუბურ მეტრ წყალს აწვდიან.

— ეს იყო ელექტროსადგურის უკანასკნელი დაგეგმილი გაჩერება, — თქვა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის უფროსმა ნოდარ შარტავამ. — პროფილაქტიკური სამუშაოთა დროს მნიშვნელოვნად შემცირდა წყალსატარის ფილტრაციულობა. რეკონსტრუქციის მაღალი ხარისხი უზრუნველყვეს მშენებლებმა მ. აკობიამ, ა. მიქავამ, ნ. ინნაძემ და სხვებმა. საქართველოს ენერგეტიკის და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტების მიერ შეთავაზებული ახალი კონსტრუქცია — შემოკეთების თვითძაბვადი მეთოდი — პრაქტიკულად უზრუნველყოფს ჰიდროელექტროსადგურის შემდგომ შეუფერებელ მუშაობას. ამ მეთოდმა წყალსატარის გამტარუნარიანობა გაზარდა და დიდძალი ლითონი დაზოგა.

ახლა საქართველოში სრული სვლით მიმდინარეობს კიდევ ერთი დიდი ჰიდროელექტროსადგურის — ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ხუთწლედის დამლევისათვის იგი შეუერთდება ქვეყნის ერთიან ენერგოსისტემას. ეს ორი ჰიდროელექტროსადგური, ენგურის და ხუდონისა, რომელთა სიმძლავრე ორ მილიონ კილოვატს აღემატება, მნიშვნელოვნად გაზრდის რესპუბლიკის ენერგეტიკულ პოტენციალს.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის წინ

5 ივლისს გაიმართება საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია, რომელიც განიხილავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წინაშე სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობას, აგრეთვე საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმას.

ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თხოვნით მიმართა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, შრომითს კოლექტივებს, ყველა ამომრჩეველს გამოთქვან თავიანთი წინადადებები, შენიშვნები და სურვილები ადგილებზე მუშაობის გარდაქმნის შესახებ, რათა გაითვალისწინოს ისინი სესიის დოკუმენტების შემუშავებისას.

* * *

ვახტანგ ლორია, თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ელექტროშენაკალი, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატი:

— **უკვე** რამდენიმე წელია ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტი ახორციელებს ჩვენი საწარმოს გენერალურ რეკონსტრუქციას, მაგრამ დღეს ზუსტად არავინ იცის, როდის დამთავრდება იგი. მშენებლებმა ვერა და ვერ ჩააბარეს მთავარი ობიექტი — ელექტრომანქანური საამქრო.

ჩვენს საჭირბოროტო პრობლემებზე არაერთხელ თქმულა სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო საბჭოების ტრიბუნიდან, მაგრამ უკეთესობისაკენ რეალური გარდაქმნები ჯერ არ ჩანს. საწარმოს ტერიტორიული დეპუტატთა ჯგუფის სახელით მინდა ეთხოვო ხალხის რჩეულთ, რომლებიც ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის წარმომადგენლები არიან, კონკრეტული დახმარება გაგვიწიონ, რათა წამოვწიოთ ჩვენი ჩამორჩენილი ქვეგანყოფები. იქნებ ერთობლივი დეპუტატთა საგუშაგოები შეგვექმნა საწარმოს რეკონსტრუქციის დროს? ჩვენი ვეტერანი ქარხნის ღირსება ხომ ვძირფასი უნდა იყოს ყველასათვის, ყოველი თბილისელისათვის.

მანანა გურჩიანი, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის „ახალი აჯარის“ მწველავი, გულრიფშის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატი:

— **მთიანი** მხარის ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხი უნდა იყოს სასოფლო საბჭოების აღმასკომების ყურადღების ცენტრში. საჭიროა, რომ დეპუტატებმა იზრუნონ და იკისრონ პასუხისმგებლობა ტყის ნობათის ყაირათიანი გამოყენებისათვის, ამავე დროს არ დაივიწყონ ბუნების დაცვის ინტერესები. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ იმის გამო, რომ არა გვაქვს დამამზადებელი პუნქტი, ვერაფრით ვერ მივაღწიეთ მიგვეღო ნერიულ-დარგთშორისი გაერთიანების უფროსი ვიქტორ ტიხოვი, რომელსაც ამჯერად გიდის როლი უკისრია. — გაერთიანების შექმნამ შესაძლებლობა მოგვცა უფრო ღრმად გაგვანალიზებინა ქალაქის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები, განგვემტკიცებინა მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძვლიანობა. თანაც საგრძნობლად გაღრმავდა ეკონომიკური სამსახურის თანამოქმედება ყველა საწარმოსთან, სამინისტროსა და უწყებასთან. და ამის შედეგად ქალაქმა ვადამდე და ყველა საგეგმო-ეკონომიკური მაჩვენებლის

(დასასრული მე-3 გვ.).

გაემგზავრნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ყრილობაზე

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 28 ივნისს მოსკოვიდან ვარშავას გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მეთაურობით. იგი მონაწილეობას მიიღებს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის X ყრილობის მუშაობაში.

დელეგაციაში შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები — უკრაინის კომპარტიის ხარკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მისნიჩენკო და სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ი. ბროვიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ტულის ქარხანა „არსენალის“ მემონტაჟეთა ბრიგადირი ვ. ა. კასიმოვი.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ა. ა. გრომიკომ, ვ. ი. ვოროტნიკოვმა, ი. კ. ლიგაჩოვმა, ნ. ი. რიჟკოვმა, მ. ს. სოლომენცევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა პ. ნ. დემიჩევმა, ვ. ი. დოლგიხმა, ს. ლ. სოკოლოვმა, ნ. ვ. ტალიზინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ა. პ. ბირიუკოვამ, ა. თ. დობრინინმა, მ. ვ. ზიმიანინმა, ვ. ა. მედვედევმა, ვ. პ. ნიკონოვმა, გ. პ. რაზუმოვსკიმ, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ი. ვ. კაპიტონოვმა, სხვა ამხანაგებმა.

გამცილებელთა შორის იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი სამქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ა. პშიგონსკი.

* * *

იმავე დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მეთაურობით ვარშავაში ჩავიდა.

აეროპორტში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას დახვდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. იარუზელსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები კ. ბარჩიკოვსკი, ზ. მესნერი, ტ. პორებსკი, ი. ჩირეკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ი. გლოვაჩიკი, ჩ. კიშჩაკი, ვ. მოკშაჩაკი, მ. ოტეხოვსკი, ფ. სივიცკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. ბარილა, ვ. ბიდნარსკი, ზ. მიხალეკი, ვ. სვირჟონი, პარტიისა და პოლონეთის სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელი მოღვაწენი. დამხვდურთა შორის იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ვ. ნატორფი.

ბავშვებმა მ. ს. გორბაჩოვს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრებს თაიგულები მიართვეს.

მისასალმებელი დეპეშა

სკპპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა მილანკო რენოვიცეს მიულოცა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე არჩევა.

გისურვებთ თქვენ, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის ახლად არჩეული პრეზიდიუმის წევრებს, იუგოსლავ კომუნისტებს, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ყველა მშრომელს წარმატებებს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის XIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, ნათქვამია დეპეშაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობა კვლავაც განუხრელად განვითარდება ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის ინტერეს

პმხანაგ მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

(დასასრული)

ამ გადახრების წინააღმდეგ ყველაზე საიმედო გარანტიაა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემოქმედებითი განვითარება და გამოყენება, მუშათა კლასთან, მშრომელთა ფართო მასებთან პარტიის მჭიდრო კავშირი. კავშირი, რომელიც, ცოცხალი და ურყევი რეალობა ხდება მაშინ, თუ პარტიას ნათლად ესმის ხალხის საჭიროებანი, რეალისტურად აფასებს ქვეყნის შესაძლებლობებს ამა თუ იმ ეტაპზე და გამბედულად კვალავს მომავლის გზას. მეორე მხრივ კი, თითოეული შეგნებული მუშა, მშრომელი პარტიის პოლიტიკას უკავშირებს თავის საარსებო მოლოდინს, მიაჩნია თავი მისი ნების არა უბრალო შემსრულებლად, არამედ აქტიურად მონაწილეობს პარტიის გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და განხორციელებაში.

და კიდევ ერთი დასკვნა, რომელსაც, როგორც გვგონია, საყოველთაო, ინტერნაციონალური მნიშვნელობა აქვს. სოციალისტური რევოლუცია ასპარეზს უქმნის საზოგადოების ყოველმხრივ პროგრესს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ასეთი პროგრესი ამიერიდან უზრუნველყოფილია ავტომატურად, მიღწეულია ისეთი ვითარება, როცა წარმოებითი ურთიერთობა და საწარმოო ძალები შეესაბამება ერთმანეთს ერთხელ და სამუდამოდ. წარმოების, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის სწრაფი ზრდა, თვით ადამიანის პიროვნების განვითარება ახალ მოთხოვნებს უყენებს საზოგადოების ორგანიზაციას. დღის წესრიგში დგება საკუთარ საფუძველზე სოციალიზმის მუდმივი განახლების საკითხი. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩნდება თრომბები, უძრაობის მოვლენები, სახიფათოდ შეიძლება გამწვავდეს ეკონომიკური და სოციალური პრობლემები.

ჩვენმა პარტიამ გასაგებად თქვა ამის შესახებ თავის XXVII ყრილობაზე. თვითკრიტიკული ანალიზის, საკუთარი საქმიანობის ფხიზლად შეფასების უნარი, წარსულის შეცდომებიდან და ნაკლოვანებებიდან საჭირო დასკვნების გამოტანა — ესეც სოციალიზმისათვის ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. ეს მუშათა კლასის პარტიის წარმატებული საქმიანობის ძირეული პრინციპია, რომელიც დიდმა ლენინმა გვიანდერძა.

ჩვენ მტკიცედ დავადექით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, ჩვენი ცხოვრების განახლების, ყოველივე ამისაგან განწმენდის კურსს, რაც ხელს უშლის სოციალისტურ წყობილებას გაშალოს თავისი ძლავრი პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი პოტენციალი

არსებითად, ჩვენ ყველას ერთი მიზანი გვაქვს — ვისწავლოთ, თანაც რაც შეიძლება მალე, ჩვენი წყობილების უდიდესი შესაძლებლობების მთლიანად გამოყენება. მოვეძებნოთ ცენტრისა და ადგილების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი სფეროების, ნაროვნისა და თვითმმართველობის ოპტიმალური შეხამება. უკეთ მივანდინოთ ადამიანის საქმიანობის, მისი შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის მოქალაქეობრივი შეგნების სტიმულირება.

ახლა წინა პლანზე დგება მართვის მექანიზმის ღონე და კომპლექსური სრულყოფის საჭიროება. საქმე ეხება იმას, რომ გადაწყვეტოთ ორი ერთარსი ამოცანა: გავზარდოთ გეგმითი, მაორგანიზებელი საწყისის ეფექტიანობა სახალხო-სამეურნეო განვითარების გზების ძებნაში და ფართო ასპარეზი გადავუშალოთ შრომითი კოლექტივების ინიციატივას.

სოციალიზმის არსი, როგორც ცნობილია, გამოიხატება ფორმულით: „თითოეულისაგან— უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“. ჩვენ ვცდილობთ მივაღწიოთ იმას, რომ ამ ფორმულის რეალურობას ადასტურებდეს ყოველდღიური ცხოვრება, რომ არ ხდებოდეს გათანაბრება, ყოველნაირად ხალისდებოდეს კეთილსინდისიერი ნაყოფიერი შრომა, ზედმეწევნით სრულდებოდეს სოციალური სამართლიანობის მოთხოვნები. საამისოდ ვიყენებთ ეკონომიკურ ბერკეტებსაც, დარწმუნების ძალასა და კანონის ძალასაც.

როგორც ხედავთ, გარდაქმნა, რომელიც აქტიურად დავიწყეთ, ერთ მჭიდრო კვანძად კრავს საკითხების მთელ კომპლექსს მარცხვის სისტემის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირებიდან მოყოლებული და ადამიანების მუშაობისა და ცხოვრების პირობებით, საზოგადოების მორალური ატმოსფეროთი დამთავრებული.

ამ გზაზე დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი, რომელშაც სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელების აქტუალური საკითხები განიხილა. პლენუმის გადაწყვეტილებათა მთავარი აზრი შეგვიძლია ასე განვსაზღვროთ — არ დავკარგოთ არც ერთი დღე, გავაძლიეროთ წინსვლის ტემპი, უფრო გაბედულად მივიწიოროთ ყველაფერი, რაც შემოქმედებითს, ინიციატივიან შრომას აბრკოლებს. დღეს, როცა დავადექით საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს ღრმად გარდაქმნის კურსს, კადრების ფასს, მათ ავტორიტეტს უწინარეს ყოვლისა განსაზღვრავს ახლის გამახვილებული გრძნობა, კომპეტენტურობა და საქმიანობა, ხალხის ინტერესების გულთან ახლოს მიტანის უნარი.

ჩვენ ვხელმძღვანელობთ ლენინური მოდგომით: „მეტი ცოდნა ფაქტებისა, ნაკლები უბედობა, რომელიც კომუნისტურ პრინციპულობას ჩამუღობს. ამისათვის უნდა ვისწავლოთ თავმდაბლობა და „მეცნიერებისა და ტექნიკის სპეციალისტების“ საქმიანი მუშაობის პატივისცემა, ამისათვის უნდა ვისწავლოთ ჩვენი მრავალრიცხოვანი **პრაქტიკული** შეცდომების საქმიანი და დაკვირვებული ანალიზი და მათი თანდათან, მაგრამ განუხრელად გამოსწორება.“

ჩვენი პარტიების წინაშე დგას ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა: შეეფხამოთ სოციალიზმისათვის დამახასიათებელი სოციალური სამართლიანობა უდიდეს ეკონომიკურ ეფექტიანობას. ჩვენ უბრალოდ მოვალენი ვართ გავხადოთ სოციალიზმი კიდევ უფრო ძლიერი, ისეთი, რომ დინამიკურად ვითარდებოდეს, წარმატებით ეჯიბრებოდეს კაპიტალისტურ საზოგადოებას ყველა პარამეტრით, ეწ კი მოითხოვს, უწინარეს ყოვლისა, იმ მართლაცდა უშრეტი შესაძლებლობების სრულ და ეფექტიან გამოყენებას, რომლებსაც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია სახავს.

გასაგებია, რომ აქ ერთად უნდა ვიმოქმედოთ, გავაერთიანოთ მეცადინეობა. ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნების სახალხო-სამეურნეო ინტერესებიც, საერთაშორისო ასპარეზზე არსებული პოლიტიკური სიტუაციაც და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ეკონომიკური უშიშროების მოსაზრებებიც.

რა გვეთქმის, დაგვიანებით მივხვდით, რა ხაფანგებია დაგებული დასავლეთისაკენ მიმავალ სავაჭრო გზებზე. აქ ითქვა, რაოდენ დაზარალდა პოლონეთი. და არა მარტო პოლონეთი. მავნე იყო უკეთ თვით იდეა, რომლის თანახმად კაპიტალისტურ ბაზარზე საქონლის ყიდვა უფრო ადვილი იყო, ვიდრე მისი თვითონ შექმნა. ახლა ჩვენთან გადაჭრით ვებრძვით ასეთ განწყობილებას. საქმე, რა თქმა უნდა, არ ეხება დასავლეთთან კავშირ-ურთიერთობის შეკვეცას. საქმე ეხება სხვა რამეს — ამ კავშირურთიერთობის რაციონალურ გამოყენებას, გადახრების დაძლევას, დამოკიდებულების დაუშვებლობას.

და, რაღა თქმა უნდა, უთუოდ უნდა ნიენიშოს პრიორიტეტი კოოპერაციულ ურთიერთობას მოძმე ქვეყნებთან, სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას. ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ექმნება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში მიღებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის რეალიზაციას.

ამ საერთო სტრატეგიას კარგად ერწყნის აღმავალი გზით განვითარებადი საბჭოთა კავშირ-პოლონეთის კავშირურთიერთობაც. მიმდინარე ხუთწლედში არსებითად იზრდება ჩვენი ქვეყნების საქონელგაცვლის მასშტაბი. ამასთან ერთად ცხოვრება მოითხოვს უფრო აქტიურად ვნერგოთ თანამშრომლობის ახალი, ყველაზე უფრო პერსპექტიული ფორმები: შეკვმნთ ერთობლივი საწარმოები, მეცნიერთა და სპეციალისტთა გაერთიანებული კოლექტივები, განვავითაროთ სამრეწველო საწარმოებისა და საინჟინერო-კვლევითი ორგანიზაციების უშუალო კავშირი.

გულახლილად ვიტყვი: ჩვენს დელეგაციას ესიამოვნა იმის შეტყობა ყრილობაზე გამოსულ ორატორთა სიტყვებიდან, რომ ამ მიმართულებით გადადგმულ პირველივე ნაბიჯებს კარგი შედეგები მოაქვთ. მოდით, მივყვეთ ამ გზას გაბედულად და გულდაჯერებით, ნუ დავშურებთ გარჯას. იგი ასნაგად აგვინაზღაურდება.

ამხანაგებო! სამი კვირის წინ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე ჩვენ ერთად ვიმსჯელეთ საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებაზე, დავთქვით, როგორ ვიმოქმედოთ შემდეგ.

ცნობილია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1986 წელი ნშვიდობის წლად გამოაცხადა. სოციალისტური სახელმწიფოები ამას მთელი სერიოზულობით მოეკიდნენ.

იანვარში წამოვაყენეთ საუკუნის დამლეგამდე ბირთვული იარაღის ეტაპობრივი ლიკვიდაციის პროგრამა. თებერვალში, სკკპ XXVII ყრილობაზე — საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის იდეა. ამას ნოჰყვა კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც აფდგენენ ევროპიდან საშუალო სიშორის რაკეტების გატანის შესახებ შეთანხმების შესაძლებლობას. უყურადღებოდ არ დარჩა დასავლეთ ევროპის ბირთვულ სახელმწიფოებთან — ინგლისთან და საფრანგეთთან სპეციალურ მორიგებათა ძიების შესაძლებლობა. დავსახეთ ქიმიური საფრთხის აღმოფხვრის ღონისძიებანი.

მაისში საბჭოთა კავშირმა ნესამედ გაახანგრძლივა ბირთვული გამოცდების მორატორიუმი, როგორც, ამგვარად, მთელ წელს მოიცავს. და ხოლოს, ივნისში ჩვენმა ქვეყნებმა წამოაყენეს ევროპის მთელ კონტინენტზე — ატლანტიკიდან ურალამდე — შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი იარაღის შემცირების ვრცელი გეგმა.

